

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაცემულ მშენებლობის  
ნებართვებთან დაკავშირებული აქტების სამართლებრივი ხარვეზების  
შემსწავლელი დროებითი კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. თბილისი

02 დეკემბერი 2014 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაცემულ მშენებლობის ნებართვებთან დაკავშირებული აქტების სამართლებრივი ხარვეზების შემსწავლელი დროებითი კომისიის (შემდგომში - კომისია) რიგით მე-2 სხდომა ჩატარდა 2014 წლის 02 დეკემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მდებარე ქ. თბილისი ქ. შარტავას ქ. №7.

კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 5 ნოემბრის №14.02.146 განკარგულების საფუძველზე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი - დავით ნარმანია. კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კანონმდებლობის სრული დაცვით, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ: დავით ნარმანია- კომისიის თავმჯდომარე  
ნინო ხატისკაცი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე  
ეკატერინე სურგულაძე - კომისიის მდივანი

კომისიის წევრები: არჩილ ბებიაშვილი, გურანდა რომანაძე, ნინო ლოლობერიძე,  
გეგი ნიჟარაძე, გიორგი გაგოშიძე, ბიძინა გიორგობიანი,  
გოჩა ბაბუნაშვილი, ნუგზარ მალალურაძე, გიორგი ტყემალაძე  
დიმიტრი ქუმსიშვილი, დავით გიგინეიშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- „პარტიზანი მეზალები“- ნატა ფერაძე;
- „ჩემი ქალაქი“ - თემურ კალანდაძე;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ - ერეკლე ურუშაძე;
- „უსაფრთხო სივრცე“ - ანა გაბრიაძე;
- „CFINN“ - ნოდარ თხელიძე;
- „ფონდი ღია საზოგადოება „საქართველო“ - თინათინ ბოლქვაძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაცემულ მშენებლობის ნებართვებთან დაკავშირებული აქტების სამართლებრივი ხარვეზების შემსწავლელი დროებითი კომისიის მე-2 სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, დავით ნარმანიამ, რომელმაც სხდომაზე დასწრე პირებს განუცხადა, რომ პირველი სხდომა იყო საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, ამასთან, წარადგინა განსახილველი საკითხები:

1. დიღმის ტყე-პარკის ტერიტორია;
2. ი. ჭავჭავაძის გამზირი N68;
3. ასათიანის ქ. N10

აქვე აღინიშნა, რომ დიღმის ტყე-პარკთან დაკავშირებით კომისიამ პირველ სხდომაზე უკვე დაიწყო მსჯელობა, ხოლო დანარჩენ ორ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება მას შემდეგ, რაც მოხდება მხარეთა პოზიციების მოსმენა.

დავით ნარმანიამ კომისიას მოახსენა, რომ პირველ საკითხთან დაკავშირებით მოხსენებას გააკეთებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ნინო ხატისკაცი.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ კოორდინატორს ლადო ხასიას სთხოვა პირველ საკითხთან დაკავშირებით მოხსენების გაკეთება.

კომისიის წევრებმა მოისმინეს კოორდინატორ ლადო ხასიას მოხსენება:

აღნიშნა, რომ ვინაიდან კომისია განიხილავს სარეკრეაციო ზონის აღდგენის საკითხს რუკაზე წითელი ფერით მონიშნულ ტერიტორიებზე, მოხდა გზისპირა ზოლისა და დანარჩენი ტერიტორიის დაყოფა და მათი წარმოდგენა სხვადასხვა ფერებით, რომლის მეშვეობითაც მოხდა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონებისა და კერძო მესაკუთრეების ქონების თვალსაჩინო ასახვა.

დღის წესრიგში დადგა რამდენიმე საკითხი, პირველ რიგში ხდება თუ არა სარეკრეაციო ზონა N1-ის აღდგენა, მეორე შეკითხვა - როგორ უნდა განხორციელდეს აღნიშნული.

ნინო ხატისკაცმა მიმართა კომისიის წევრებს მოსაზრების გამოთქმის თხოვნით, ამასთან, დამატებით აღნიშნა, რომ განაპირა ზოლზე მდებარეობს კერძო მესაკუთრეთა ქონება, დანარჩენ ტერიტორიაზე წარმოდგენილია, როგორც თვითმმართველობის ასევე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონება და კერძო მესაკუთრეების ქონებაც.

კომისიის თავმჯდომარემ დავით ნარმანიამ აღნიშნა, რომ ტერიტორიებს, რომელიც არის თვითმმართველი ერთეულისა და სახელმწიფოს საკუთრება, აღუდგეთ სარეკრეაციო ზონის სტატუსი და ამ მოთხოვნით მიმართონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს. აქვე დაამატა, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ ქონებასთან მიმართებაში საკითხი განხილულ იქნას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალ-ცალკე, ანუ მოხდეს ამ ტერიტორიების მათთვის ჩანაცვლება, რის შემდეგადაც, მოხდება დათმობილი უძრავი ქონების თვითმმართველი ერთეულისათვის დარეგისტრირება და სარეკრეაციო ზონის აღდგენა. ოფიციალურად, ამ სახის მოთხოვნაზე წერილობით განაცხადი შემოტანილი აქვს ერთ კომპანიას, რომელმაც გამოთქვა სურვილი, რომ მის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის ჩანაცვლების შემთხვევაში ის სხვა ტერიტორიაზე განავითარებს მის ბიზნესს, დავალება შესასრულებლად გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ძერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს. დავით ნარმანიას მოსაზრებით, გზისპირა ზოლი, რომელის ტერიტორიაც დაფარულია შენობა-ნაგებობებით, პრაქტიკულად არ

არის გამწვანებული და რომელიც წარმოადგენს კერძო მესაკუთრეთა ქონებას უნდა დარჩეს ასეთად და პერსპექტიული განვითარების ზონად, ხოლო იმ კერძო მესაკუთრეებს, ვინც ტერიტორიის შიდა ნაწილს ფლობს, ჩაუნაცვლდეთ ასეთი ქონება ალტერნატიული ქონებით, რითაც მოხდება ტერიტორიის გამოთავისუფლება.

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებას დაეთანხმა კომისიის წევრი დავით გიგინეიშვილი და გიორგი გაგოშიძე.

**„უსაფრთხო სივრცის“ წარმომადგენელი ანა გაბრიამე:**

აღნიშნა, რომ სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით განცხადება შემოიტანა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, სადაც მითითებულია, რომ მოხდა რუკის გაყალბება, რის შემდგომაც, შეეცვალა სტატუსი ტერიტორიას, ანუ რადგან მისი თქმით, იკვეთება დანაშაულის ნიშნები, რეალურად სტატუსი შეცვლილად არ უნდა ჩაითვალოს და მიმართა კომისიის წევრებს, რომ ასლა სტატუსი ეცვლება ისეთ მიწას, რომელსაც არ აქვს სტატუსი შეცვლილი.

ანა გაბრიამის პოზიციას გამოეხმაურა კომისიის სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ლადო ხასია, რომელმაც აღნიშნა, რომ მიუხედავად შესაძლო დანაშაულის ფაქტის არსებობისა, მესაკუთრე, რომელმაც ზონის შეცვლის შემდგომ შეიძინა მიწის ნაკვეთი, ითვლება კანონიერი ნდობის მქონე კეთილსინდისიერ შემძენად, რადგან მან შეიძინა არა სარეკრეაციო ზონა 1, არამედ მის მიერ მოხდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის შეძენა.

„უსაფრთხო სივრცის“ წარმომადგენელმა ანა გაბრიამემ აღნიშნა, რომ აუცილებელია მერიის მიერ მოხდეს მის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლა, ამის შემდეგ მიიღოს კომისიამ გადაწყვეტილება და ასევე საქმის მასალები გადაეგზავნოს პროკურატურას.

კომისიის თავმჯდომარე დავით ნარმანიამ აღნიშნა, რომ მოხდება ამ დოკუმენტების საქართველოს პროკურატურისათვის გადაგზავნა, რამდენადაც საკითხი ეხება შესაძლო დანაშაულის ნიშნების არსებობას, რადგან მერია არ არის სამართალდამცავი ორგანო, კომისია არის საკონსულტაციო ორგანო, ვის მიერაც მოხდება სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებების მიღება.

„უსაფრთხო სივრცის“ წარმომადგენელმა ანა გაბრიამემ კომისიას აცნობა, რომ მიმდინარეობს მშენებლობა აღნიშნულ ტერიტორიაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით მას ეცნობა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან საკითხის ბოლომდე გარკვევამდე, ამ ეტაპზე შეჩერებულია მითითებულ ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, რაც საკმაოდ დიდ პრობლემას ქმნის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოსათვის, ასევე დაინტერესებული პირებისთვისაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დიღმის ტყე-პარკის საკითხის განხილვის შემდგომ კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. ტერიტორიებს, რომელიც არის თვითმმართველი ერთეულისა და სახელმწიფოს საკუთრება ადუდგეთ სარეკრეაციო ზონის სტატუსი და ამ მოთხოვნით უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის მიმართვა.

2. კერძო საკუთრებაში არსებულ ქონებასთან მიმართებაში საკითხი განხილულ იქნეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალ-ცალკე, მოხდეს მესაკუთრეთათვის ალტერნატიული ტერიტორიების შეთავაზება, რის შემდეგადაც შესაძლებელი იქნება ჩანაცვლებული უძრავი ქონების თვითმმართველი ერთეულის სახელზე დარეგისტრირება და მასზე სარეკრეაციო ზონის აღდგენა.
3. კერძო პირთა საკუთრებაში არსებული ტერიტორიის ჩანაცვლების საკითხი შესასრულებლად გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს.
3. კომისიის მოსაზრებით გზისპირა ზოლი, რომელზეც ძირითადად განთავსებულია კერძო მესაკუთრეთა შენობა-ნაგებობები და უმეტესწილად არ არის გამწავანებული უნდა დარჩეს საზოგადოებრივ-საქმიან ზონად.
4. საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან მოწოდებული მასალები, რომელიც ეხება კერძო პირების მიერ მიწის ნაკვეთების შეძენასთან მიმართებით არსებულ შესაძლო დანაშაულის ნიშნებს, გადაგზავნილ იქნას საქართველოს პროკურატურაში.
5. უეღამხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა ტერიტორიაზე მიმდინარე შესაძლო სამშენებლო სამუშაოების შემოწმება.

## 2. ჭავჭავაძის გამზ. N68

სხდომაზე განსახილველ მე-2 საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ნინო ხატისკაცმა აღნიშნა, რომ საკითხის სრულყოფილად განხილვის მიზნით მოწვეულ იქნენ, როგორც დაგეგმილი მშენებლობის განმახორციელებელი პირები, ასევე მოსარჩევეები და საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც იყვნენ სხდომაზე დამსწრე პირები.

სხდომის წევრებმა მოისმინეს კოორდინატორის ლადო ხასიას მოხსენება და გაეცნენ წარმოდგენილ პრეზენტაციას, რომელიც მოიცავდა აღნიშნულ ტერიტორიაზე სასტუმროს მშენებლობასთან დაკავშირებული იმ პროცედურების გაცნობას, რაც საჭირო იყო ამის განსორციელებისათვის, კომისიის წევრები ასევე გაეცნენ სარჩელში მითითებულ გარემოებებს, რომელსაც ეყრდნობა მოსარჩელე მხარე, არსებული სიტუაციის ფოტომასალას, რის შემდეგაც, კოორდინატორმა ასევე აღნიშნა, რომ სხდომაზე ასევე განხილულ უნდა იქნას ზოგადად ვაკის პარკის დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების თემაც.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ საკითხის განხილვა გამოწვეულია საზოგადოების მაღალი ინტერესისა და მათ მიერ უარყოფითი დამოკიდებულების გამო აუცილებელია, მოხდეს საზოგადოების წარმომადგენელთა არგუმენტირებული მოსაზრების მოსმენა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ - ერეკლე ურუშაძე;

მისი აზრით საკითხს აქვს ორი განზომილება, ერთი არის წმინდა იურიდიული და მეორე ქალაქგანვითარების კუთხით არსებული მდგომარეობა. მისი აზრით, ქალაქ თბილისის მერიას არაფერი უშლიდა ხელს, რომ ადრე მოეხდინა ვაკის პარკის გასხვისება და გაეცა მშენებლობის ნებართვა, გამოვიდოდა, რომ ეს ყველაფერი იურიდიულად სწორი იყო, რის გამოც, მხოლოდ იურიდიულად ამ საკითხის განხილვა ვერ მოხდებოდა, თუმცა იურიდიული თვალსაზრისითაც არის მისი მოსაზრებით დარღვევები, საუბარია სპეციალურ ზონალურ შეთანხმებაზე, რომელიც

იძლევა სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, აქვე აღინიშნა, რომ ამ კანონის მინიმალური მოთხოვნებიც კი იქნა დარღვეული. ხოლო ქალაქგანვითარების კუთხით, ერეკლე ღურუშაძემ აღნიშნა, რომ როდესაც საუბარია ვაკის პარკზე, ის უთითებს დიდ სარეკრეაციო ტერიტორიას, რომლის შენარჩუნებაც უნდა მოხდეს, თბილისის ინტერესებიდან გამომდინარე. სასტუმროსთან დაკავშირებით ასევე აღინიშნა, რომ დარღვეულია კანონის მოთხოვნები სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემისას და რომ შეუთავსებელია სასტუმრო პარკის ფუნქციასთან. მისი აზრით, იდეალური ვარიანტი იქნება, თუ მოხდება მერიასა და მეორე მხარეს შორის ადგილმონაცვლეობის თაობაზე შეთანხმების მიღწევა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ასევე დააფიქსირეს პოზიცია, რომ ისინი ზოგადად დაუშვებლად მიიჩნევენ ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობას და ასევე ექვემდებარებიან სასტუმროს მშენებლობაზე გაცემულ ნებართვის კანონიერებასაც.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მოსაზრებით, სასტუმროს არასაკმარისი ადგილი აქვს პარკირებისათვის და სატრანსპორტო მიმოსვლა მისი აზრით, იქ იქნება შეუძლებელი და როდესაც საუბარია საზოგადოებრივი ინტერესებზე და ვაკის პარკზე, რომელიც არის საკმაოდ დიდი გაშვანებული ტერიტორია, ვერ მოხდება საკითხის განხილვა მხოლოდ სამართლებრივ ქრილში. მშენებლობის ნებართვის ფორმალური კანონიერება შესაძლებელია არ იყოს საკმარისი მშენებლობის დასაშვებობაზე საუბრისას. მისი აზრით, ყველა კითხვას უნდა გაეცეს პასუხი და მოიძებნოს ალტერნატიული გამოსავალი.

სხდომაზე მოწვეულ სასტუმროს მშენებლობაზე დაინტერესებული პირებს კომისიამ მიმართა ადგილმონაცვლეობის შეთავაზებით. დაინტერესებულმა პირებმა დააფიქსირეს პოზიცია, რომ ისინი არ არიან თანახმა ადგილმონაცვლეობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ დასვა შემდეგი კითხვა: არსებული ტერიტორია, რაც მოქცეულია წითელ ხაზებში, იქნება თუ არა საკმარისი იმისათვის, რომ სასტუმრო აშენდეს მთელი თავისი ინფრასტრუქტურით და მომავალში ხომ არ იქნება იმის აუცილებლობა, რომ დამატებით მოხდეს ტერიტორიის მოთხოვნა და ინვესტიციებზე აპელირებით, ხომ არ გახდება საჭირო ხეების მოჭრის ან ტერიტორიის მიერთების ნებართვა.

კახაბერ არაბიძემ კომისიას მოახსენა, რომ მათ მიერ მოხდება ყველანაირი სამართლებრივი თუ სხვა სახის ვალდებულების აღება, რომ დამატებით ტერიტორია სასტუმროს მშენებლობისათვის არ იქნება საჭირო. ამასთან, გამოთქვა მზადყოფნა იმის თაობაზე, რომ მათ მიერ მოხდება ხეების დარგვა. ასევე მიუთითა, რომ ხდება 22 მილიონი დოლარის ინვესტირება და დასაქმების მდგომარეობის გაუმჯობესება.

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, რადგან საქმეს განიხილავს სასამართლო, ამ ეტაპზე სხდომაზე ვერ მოხდება საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა, თუმცა კომისია სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროებისამებრ მიიღებს გადაწყვეტილებებს, რომ სხვადასხვა სამსახურებისათვის მოხდეს გარკვეული დავალებების გაცემა, თავმჯდომარის მიერ ასევე აღინიშნა, რომ კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით და ამ მოსაზრების თაობაზე იმსჯელებენ კომისიის სხვა წევრებიც.

კომისიის წევრმა ნუგზარ მაღალურაძემ აღნიშნა, რომ მშენებლობის ნებართვის გაუქმების შემთხვევაში, ინვესტორი მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, რომელიც ისევ ბიუჯეტიდან იქნება გადასახდელი.

კომისიის წევრმა დავით გიგინეიშვილმა სასტუმროს მშენებლობაზე დაინტერესებულ პირებს ვინაიდან ისინი არ დათანხმდნენ ადგილმონაცვლეობაზე ასევე შესთავაზა სასტუმროს შეცვლა მოცულობაში, პროექტის გადაკეთება, ანუ ფართის შემცირება.

სასტუმროს მშენებლობაზე დაინტერესებულმა პირებმა განაცხადეს, რომ მათ უამრავი ვალდებულება აქვთ აღებული, სასტუმროს მშენებლობამ უამრავი სხვა ვალდებულების გაჩენა გამოიწვია და მათ მიერ ვერ მოხდება ინვესტორებისათვის იმის განმარტება, რომ სასტუმრო სხვა სახით უნდა აშენდეს.

კომისიის თავმჯდომარემ მშენებლობით დაინტერესებულ მხარეს შესთავაზა მოლაპარაკებების წარმოება და აღნიშნულთან დაკავშირებით მისცა მოსაფიქრებელი დრო.

რის შემდგომაც ქაჯკავადის გამზ. N68-ში მშენებარე სასტუმროსთან დაკავშირებით კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს გამწვანებული ზონის სიღრმეში და სასტუმრომდე მისასვლელი გზა არასაკმარისი იქნება ტრანსპორტის ორმხრივი მოძრაობისათვის. ამასთანავე, დაუშვებელი და გამორიცხულია აღნიშნულ ტერიტორიაზე გზის გასაფართოვებლად ხის ქრის ნებართვის გაცემა.
2. ვინაიდან საქმეს განიხილავს სასამართლო, კომისია საკითხის არსებით განხილვას ვერ დაიწყებს, სანამ სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას.
3. მიწის ნაკვეთის ჩანაცვლების საკითხზე კომპანიის წარმომადგენლებს დაფიქრებისათვის მიეცეთ გარკვეული დრო და შესაძლებლობა შეარჩიონ ალტერნატიული ტერიტორია.
4. კომისია აუცილებლად მიიჩნევს ვაკის პარკისა და მისი მიმდებარე გამწვანებული ტერიტორიის დაცვას შემდგომი მშენებლობებისგან. ის გარემოება, რომ აღნიშნულ ტერიტორიას მინიჭებული აქვს სარეკრეაციო ზონის სტატუსი არ აღმოჩნდა საკმარისი გამწვანებული ზონის ეფექტური დაცვისთვის. ამიტომ, კომისიამ მოიწონა ვაკის პარკის დღეის მდგომარეობით არსებული საზღვრების (რომელიც მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე მცირე მონაკვეთს მოიცავს) გაფართოების საკითხი.

### 3. ასათიანის ქ. N10

კომისიის სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა ლადო ხასიამ მიმოიხილა აღნიშნულ მშენებლობაზე არსებული მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ამ ტერიტორიაზე უკვე მოხდა გრგ ს და მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის შეთანხმება, რომელიც უკვე ფაქტობრივად დაწყებულია. კოორდინატორმა, კომისიაზე დამსწრე პირებს ასევე გააცნო ასაშენებელ ობიექტთან დაკავშირებული ინფორმაცია და მასალები.

სასამართლოში საქმე არის გასაჩივრებული რამდენიმე მიმართულებით. გასაჩივრებულია მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული აქტები და პრეტენზიები ფიქსირდება მშენებლობის კლასთან დაკავშირებით, ასევე იმ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მშენებლობის დასაშვებობასა და უსაფრთხოდ განხორციელებას. სასამართლოში გასაჩივრებულია ასევე კონსტრუქციული ნაწილის განსაიდუმლოების ფაქტი. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება ხის ქრასთან დაკავშირებით, რომელიც თავიდან განსახილველად დაუბრუნდა მერიას. მოსახლეობა ასევე მიუთითებს, რომ მათ საცხოვრებელ სახლებზე გაჩენილია ბზარები. აღნიშნულის გათვალისწინებით, გასარკვევია ეს ბზარები პროგრესირდება თუ არა და დაკავშირებულია თუ არა ისინი მშენებლობის პროცესთან.

მოსარჩელე მარიკა ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ კორპუსზე არსებული დაზიანება გამოწვეულია მშენებლობის გამო და ის იმატებს მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით. მან კომისიის წევრებს ასევე წარუდგინა პრეზენტაცია, რომელზეც ასახული იყო კორპუსზე არსებული ზსარები და მშენებლობის გამო მოჭრილი ხეების ფოტოსურათები.

მან კომისიას ასევე წარუდგინა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში გაგზავნილი წერილი, რომლის თანახმად, კომპანიას არ აქვს გადახდილი საინვესტიციო საფასურის თანხა.

**მშენებლობის განმახროციელებელი კომპანიის მიერ განხორციელებულ ინვესტიციაზე კომენტარი გააკეთა თინათინ ჩაჩანიძემ:**

თავის დროზე უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო მომსახურების ბიუროს მიერ, შემდეგ, როდესაც შეიქმნა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, შექმნიდან დაახლოებით ერთ წელიწადში, სახელმწიფო მომსახურების ბიურომ გარკვეული კატეგორიის ხელშეკრულებების ნაწილი დაუთმო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომელმაც ისინი გადასცა სააგენტოს. შესაბამისად, ამ ხელშეკრულებებში დღეს უფლებამონაცვლე არის სააგენტო, თუმცა მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებებში არის ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, ჩანაწერი, რომ ბიურომ მოთხოვნის უფლება დაუთმო სამინისტროს, გარდა, საპრივატიზებო საფასურის გადახდის ნაწილისა, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეებს, რომლებსაც შესრულებული ჰქონდათ მათ ანგარიშზე დარჩებოდათ თანხები, ვისაც არა ისინი გადაიხდიდნენ არა სამინისტროს, ან სააგენტოს ანგარიშზე, არამედ სახელმწიფო მომსახურების ბიუროს ანგარიშზე.

კომისიამ მიმართა მშენებლობით დაინტერესებულ მხარეს კონსტრუქციული ნაწილის, მისი განსაიდუმლოებისა და ალტერნატიული დასკვნების (მათ შორის გეოლოგიური და კონსტრუქციული დასკვნების) წარდგენის თაობაზე, რაზეც დამკვეთმა კომპანიამ უარი განაცხადა. უარის საფუძველად გეოლოგიურ დასკვნასთან მიმართებაში დამკვეთმა მიუთითა, რომ მას თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე უკვე წარდგენილი აქვს სამი ალტერნატიული გეოლოგიური დასკვნა. რაც შეეხება კონსტრუქციულ ნაწილს, დამკვეთმა აღნიშნა, რომ მის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად კონსტრუქციულ ნაწილზე წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნა და არ ეთანხმება მისი კომერციული საიდუმლოების შესამე პირებისთვის განდობას, თუნდაც სხვა დასკვნების ჩასატარებლად.

ასათიანის ქ. N10-ში არსებულ მშენებლობასთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებულ იქნა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. შპს „ლაბორატორიის“ მიერ მოხდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის შეფასება, რათა შემდგომში დინამიკაში განხორციელდეს სიტუაციაზე დაკვირვება და გაირკვეს არის თუ არა მდგომარეობის გაუარესება გამოწვეული მშენებლობით და ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობას აიღებს მშენებელი.

2. ვინაიდან დავას განიხილავს სასამართლო, კომისიის წევრები უნდა დაელოდონ მიღებულ გადაწყვეტილებას და თუ რაიმე დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა იქნება საჭირო, მერიის მხრიდან, შესაბამის სამსახურებს დაევალოთ აღნიშნულის განხორციელება.

3. კონსტრუქციულ ნაწილთან დაკავშირებით, გამოითქვა მოსაზრება მისი განსაიდუმლოების თაობაზე, რაზეც ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა გურანდა ჯაბუამ აღნიშნა, რომ ამისათვის საჭიროა კომპანიის თანხმობა და ასეთ შემთხვევაშიც რთული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ისეთი სპეციალისტების მოძიება, რომელიც შეაფასებს დოკუმენტაციას კონსტრუქციულ ნაწილთან მიმართებაში.

4. ტრანსპორტის მოდელირება წარმოადგინოს შესაბამისმა სამსახურმა, რაც გაეგზავნება მხარეებს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხის განხილვის გაგრძელება გადადო მორიგ სხდომაზე და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიას ესწრებოდნენ:  
კომისიის თავმჯდომარე

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარის  
მოადგილე

ნინო ხატისკაცი

კომისიის მდივანი

ეკატერინე სურგულაძე

კომისიის წევრები:

გურანდა რომანაძე  
გეგი ნიჟარაძე  
ნინო ლოლობერიძე  
არჩილ ბებიაშვილი  
გიორგი გაგოშიძე  
გოჩა ბაბუნაშვილი  
ნუგზარ მალაღურაძე  
გიორგი ტყემალაძე  
დავით გიგინეიშვილი  
ბიძინა გიორგობიანი

კომისიის თავმჯდომარე

დავით ნარმანია



კომისიის მდივანი



ეკატერინე სურგულაძე